ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

მოგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოსამართლე მირანდა ერემაძემ სასამართლო წარმოებაში მიიღო საქმე №3/3042-13 23 აგვისტო 2013წ. (აღნიშნული განჩინება წარმოდგენილია ჩემს მიერ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში 29.08.13 №12/13241128-16 განცხადებით).

მოსარჩელე: მარინე რუხაძე

მოპასუხე: ქ. თბილისის მერია და თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური.

დავის საგანი: არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 23 იანვრის №513785 გადაწყვეტილების და თბილისის მერიის 2013 წლის 15 ივლისის №1477 განკარგულების ბათილად ცნობა.

შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად მუხლი 29. გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

ადმინისტრაციული აქტის მოქმედება ჩერდება სარჩელის სასამართლოს მიერ მიღებით, ავტომატურად და ეს არ არის დამოკიდებული სასამართლოს ან მხარის ნებაზე. ასეთი ნორმის არსებობა მიუთითებს ადმინისტრაციული სარჩელის უზრუნველყოფის მაღალ ხარისხზე. ადმინისტრაციული აქტის მოქმედების ავტომატური შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადაო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. <u>ე.ი. დღეის მგომარეობით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული 11.09.2012 წელი №ბ-12/111404-16 ადმინისტრაციულ სამსართლებრივი აქტი დღეის მდგომარეობით ძალაშია.</u>

როგორც თქვენთვის ცნობილია, თქვენი სამსახურის გადაწყვეტილებით #1013121 27.11.2013წ. ი.ბ.ა „დიდუბე 23“-ს უარი ეთქვა ქ. თბილისში სექტორი - დიდუბე, დიდუბის ქუჩა 23-ში (ნაკვეთის საკ კოდი #01.13.05.012.021) მშენებლობა დამთვრებული ობიექტის ქალაქთმშენებლობით პირობებთან შესაბამისობაზე ე.ი. დადასტურებაზე.

ჩემს მიერ ქემოთ აღნიშნულ მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით არა ერთ გზის იყო ჩატარებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზა. ამჯერად კვლავ მივმართე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოვითხოვე მრავალჯერადი ექსპერტიზების შემაჯამებელი საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის პასუხი არის საკმაოდ შემაშფოთებელი და აშკარად იკვეთება, რომ

დიდუბის 23-ში აშენებული კორპუსი არის ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი, ჩემი აზრით აუცილებლად საჭიროებს ახალ პროექტს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა და ჩაუტარდეს მთლიანად კორპუსს გამაგრება. ეს ფაქტობრივი გარემოება ცხადზე ცხადია. მტკიცებულებად წარმოგიდგენთ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა #005635213 – 13.12.2013წ.

პატივისცემით ი.ბ.ა „დიდუბე 23“-ის გამგეობის წევრი მ. რუხაძე

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....
5005186013 201 წ.

13.12.2013

5005186013

მოქალაქე ზურაბ თედიაშვილს

(თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 4 ბ. 3)

ბატონო ზურაბ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 6 დეკემბრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1006954713) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005635213 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 03 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

(995 32) 995 84 84
(995 32) 209 05 94
info@forensics.ge
(995 431) 91 30 03
info@forensics.ge
(995 422) 97 04 30
info@forensics.ge

0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
64 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str, Kutaisi 4600., Georgia
6000, პუშკინის ქ. №145
145 Pushkini str. Batumi., Georgia

005635213

ექსპერტის დასკვნა № 005635213

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

მისამართი: თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 4 ბ. 3

სახელი და გვარი: ზურაბ თედიაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

თეიმურაზ მუხაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 50 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

შემხვედრი საჭიროების გამო, გთხოვთ, ჩაატაროთ შემაჯამებელი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა თქვენს მიერ ადრე ჩატარებული ექსპერტიზების საფუძველზე, კერძოდ:

1. 12.08.2011 წ. #013740-2011/03;
2. 15.032012 წ. #007818-2012/03/3;
3. 16.05.2012 წ. #015353-2012/03/2-03/3;
4. 11.06.2012 წ. #018096-2012/03/2;
5. 06.03.2013 წ. #000762413;

ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების გათვალისწინებით, საქართველოს სეისმურობიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეადგინოთ შემაჯამებელი საექსპერტო დასკვნა და გამცეთ პასუხი კატეგორიული ფორმით შემდეგ საკითხზე:

ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნებში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის გარეშე ქ. თბილისში მიწისძვრის შემთხვევაში ექნება თუ არა საფრთხე ადამიანების სიცოცხლესა და ჯამთელობას ახლადაშენებულ კორპუსში, მდებარე ქ. თბილისში, დიდუბის ქ, #23-ში.

შემოსვლის თარიღი: 06.12.2013წ

გასვლის თარიღი: 13.12.2013წ

დასკვნა

ქ. თბილისში, დიდუბის ჭუჩა #23 მდებარე შენობის სეისმომედეგობის სრულყოფილი შეფასებისათვის საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დაზუსტებული საანგარიშო სქემით კარკასის მზიდი რ/ბ ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების გადამოწმება მათში გამოყენებული B35 კლასის ბეტონის გათვალისწინებით. გაანგარიშების ჩატარებამდე, ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესში დაშვებული ხარვეზების გათვალისწინებით ევროპის მაკროსეისმური სკალის მოთხოვნების მონაცემების მიხედვით განხილულ შენობაში 8 ბალიანი ინტესიურობის სეისმური ზემოქმედების შემთხვევაში შესაძლებელია განვითარდეს III ხარისხის შესატყვისი დაზიანებები, რაც საფრთხის შემცველია.

005635213

ექსპერტის დასკვნა № 005635213

თეიმურაზ მუხაძე

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დასკვნების ანალიზის საფუძველზე შეფასებული იქნა ქ. თბილისში დიდუბის ქ. #23-ში მდებარე ახლადაშენებული შენობის შესაძლო დაზიანების ხარისხი თბილისის ტერიტორიის სეისმურობის გათვალისწინებით, 8 ბალიანი ინტესიურობის მიწისძვრის ზემოქმედების შემთხვევაში.

წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით დიდუბის ქ. #23-ში მდებარე მრავალფუნქციური, 14 სართულიანი შენობის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან-კავშიროვანი კარკასის ვარიანტში, რომლის ცალკეულ მალში მოწყობილია 7 სიხისტის დიაფრაგმა. ქვედა სართულებზე სვეტების კვეთია 40x50 სმ, ხოლო ზედა სართულებზე 40x40 სმ. სიხისტის წიბოების სიგანე 25 სმ შეადგენს. სართულშუა გადახურვების მონოლითური რ/ბ ფილის სისქე 20 სმ-ია. შენობის საძირკველს წარმოადგენს რ/ბ წიბოვანი ფილა, სისქით 50 სმ. კარკასის გარე შევსება შესრულებულია კერამიკული აგურის ბლოკებისაგან ზომებით 300x200x140 მმ ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. პროექტით გათვალისწინებულია რკინაბეტონის კარკასის მზიდ კონსტრუქციებში B40 კლასის ბეტონის გამოყენება.

ექსპერტიზის 5 წარმოდგენილ დასკვნაში მითითებულია შენობის მშენებლობის პროსესში დაშვებული შემდეგი ძირითადი ხარვეზები:

1. #013740-2011/03 და #018096-2012/03/2 დასკვნებში აღნიშნულია, რომ შენობის მე-11 სართულზე კარკასის გარე შევსების კედლების წყობას არ გააჩნია კავშირები კარკასის ელემენტებთან;
2. #007818-2012/03/3 დასკვნაში მოცემულია შენობის მე-11 სართულის #57 და #58 ბინებში რ/ბ სვეტებსა და დიაფრაგმაში გამოყენებული არარღვევითი მეთოდით შემოწმებული ბეტონის სიმტკიცის მახასიათებლები. #57 ბინაში შემოწმდა ორი სვეტი მდებარე ა-4' და ა-5 ღერძებზე, სადაც შემოწმების შედეგებით ბეტონის კლასი შესაბამისად შეესაბამება B35 და B40 კლასს. #58 ბინაში შემოწმებულ დიაფრაგმაში გამოყენებული ბეტონის კლასი შეესაბამება B35-ს.
3. #015353-2012/03/2-03/3 დასკვნაში განხილულია შენობის კარკასის შევსებაში გამოყენებული კერამიკული ქვების სიმტკიცეზე შემოწმების შედეგები, რომელიც ადასტურებს, რომ წყობაში გამოყენებული ქვების სიმტკიცე 50 მარკის ფარგლებშია.
4. #000762413 დასკვნაში ძირითად შენიშვნას წარმოადგენს არსებულ შენობასა და მის საანგარიშო სქემას შორის შეუსაბამობა.

დასკვნებში აღნიშნული ხარვეზებიდან შენობის სეისმომედეგობის შეფასებისთვის მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს შეუსაბამობა პროექტსა და საანგარიშო სქემას შორის, სვეტებში ნაცვლად B40 კლასის ბეტონისა B35 კლასის ბეტონის გამოყენება და შევსების კედლებში კავშირების არ არსებობა კარკასის ელემენტებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდუბის ქუჩა #23 მდებარე შენობის სეისმომედეგობის სრულყოფილი შეფასებისათვის საჭიროა შენობას ჩაუტარდეს დაზუსტებული საანგარიშო სქემით კარკასის მზიდი რ/ბ ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების გადამოწმება მათში გამოყენებული B35 კლასის ბეტონის გათვალისწინებით. გაანგარიშების ჩატარებამდე, ამ ეტაპზე შესაძლებელია განხილული შენობის დაზიანების ხარისხის პროგნოზირება 8 ბალიანი ინტესიურობის მიწისძვრის ზემოქმედების შემთხვევაში ევროპის მაკროსეისმური სკალის მონაცემების გამოყენებით [6].

სკალაში სხვადასხვა კონსტრუქციულ სქემაში გადაწყვეტილი შენობები სეისმურ ზემოქმედებაზე წინალობის გაწევის უნარის მიხედვით დაყოფილია ABCDEF-6 დაზიანებადობის კლასად. თვითვეული დაზიანებადობის კლასის შენობისათვის სკალაში პროგნოზირებულია მათი შესაძლო დაზიანების ხარისხი სხვადასხვა ინტესიურობის მიწისძვრის ზემოქმედების დროს.

განხილული შენობა თავისი კონსტრუქციული გადაწყვეტის სქემით მიეკუთვნება D დაზიანებადობის კლასს. ასეთი დაზიანებადობის კლასის შენობა 8 ბალიანი ინტესიურბის სეისმურ ზემოქმდებაზე იღებს II ხარისხის შესატყვის დაზიანებას, რაც ადამინებისათვის არ არის საფრთხის შემცველი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის პროცესში დაშვებულია ხარვეზები აღნიშნული სკალის რეკომენდაციით შენობის დაზიანებადობის კლასი უნდა გაიზარდოს ერთი საფეხურით და მიეკუთნოს C დაზიანებადობის კლასს. C დაზიანებადობის კლასის შენობა 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე შეიძლება დაზიანდეს III ხარისხში, რაც საფრთხის შემცველია.

005635213

ექსპერტის დასკვნა № 005635213

თეიმურაზ მუხაძე

გამოყენებული მასალები

ექსპერტიზის დასკვნები:

1. 12.08.2011 წ. #013740-2011/03;
2. 15.032012 წ. #007818-2012/03/3;
3. 16.05.2012 წ. #015353-2012/03/2-03/3;
4. 11.06.2012 წ. #018096-2012/03/2;
5. 06.03.2013 წ. #000762413;
6. ევროპის მაკროსეისმური სკალა EMS-98. ლუქსემბურგი 1998.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია